

EMC-ს საქმიანობის მიმოხილვა

2016 წელი

აგვისტო

სექტემბერი

ოქტომბერი

ნოემბერი

დეკემბერი

რედაქტორის სვეტი

უძლური შრომის პოლიტიკა

სოციალური უფლებების პროგრამა.....1

უსახლკარობა, სახელმწიფოსგან არაღიარებული პრობლემა..... 1
შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა გადასახედია!..... 2
მუშათა პროტესტი ზვარეში..... 3
აწარმოე რეალური პოლიტიკა!..... 3
შრომის ინსპექტირების მექანიზმის შეფასება და დასაქმებულთა
შრომითი უფლებების მდგომარეობა საქართველოში..... 4
სტრატეგიული სამართალწარმოება..... 5

ინსტიტუციური რეფორმების მხარდაჭერის პროგრამა.....6

რეპრესიული ნარკოპოლიტიკა..... 6
წინასაარჩევნო გარემო..... 7
პოლიციის პოლიტიკური ნეიტრალიტეტი..... 7
სამომავლო რეფორმები სამართალდამცავ სისტემაში..... 8
მართლმსაჯულების სისტემა..... 9
სტრატეგიული სამართალწარმოება..... 9

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პროგრამა.....10

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს
საქმიანობის ანალიზი.....10
მუსლიმი თემის უფლებრივი მდგომარეობა.....11
ლგბტი ადამიანების უფლებრივი მდგომარეობა.....13
შესაძლებლობის გაძლიერებასა და დისკუსიაზე
მიმართული აქტივობები.....14
სტრატეგიული სამართალწარმოება.....15

კრიტიკული პოლიტიკის და სოლიდარობის პლატფორმა.....16

კვლევითი და სახელოვნებო სტიპენდიები.....16
ფორუმი.....16
შეხვედრები დასაქმებულებთან - რეგიონებში.....17
თარგმანები.....18
ბლოგები.....18
კამპანია “რას მოითხოვ შენ?”..... 19
სამუშაო შეხვედრა დასაქმებულებთან “შრომა და წინააღმდეგობა”...19
ქვიარ ფორუმი.....20

EMC-ს 2016 წლის საქმიანობის შეჯამება.....21

დონორები და პარტნიორი ორგანიზაციები..... 22

კოალიცია.....22
დონორები, პარტნიორი ორგანიზაციები
და მიმდინარე პროექტები.....22

უძლური შრომის პოლიტიკა

დასაქმებულთა მძიმე უფლებრივი მდგომარეობა და არაეფექტიანი შრომის პოლიტიკა კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. მდგომარეობის უცვლელობას მოწმობს ბოლო პერიოდში დასაქმებულთა მხრიდან გახშირებული წინააღმდეგობები, განსაკუთრებით ინდუსტრიულ და მომსახურების სექტორში.

ხელისუფლება წინა გამოცდილებების მსგავსად თავიდან ირიდებს მის უშუალო პასუხისმგებლობას. დღეს, ამის ნათელი მაგალითია რუსთავის აზოტის, სუპერმარკეტ „ფრესკოსა“ და წიგნების მაღაზია „ბიბლუსის გალერის“ შემთხვევები, სადაც სახელმწიფო შეეცადა დასაქმებულთა პროტესტის სამივე ფაქტი მხოლოდ ინდივიდუალურ შრომით დავად წარმოეჩინა და თავიდან აერიდინება მისი უშუალო როლი, რაც შრომითი უფლებების დარღვევის პრევენციული პოლიტიკის გატარებას და შრომითი ურთიერთობის მხარეებს შორის თანასწორი და დაბალანსებული სამართლებრივი სივრცის შექმნით გამოიხატება.

ფორმალურად ამგვარი შემთხვევები სწორედ შრომით დავას წარმოადგენს. თუმცა, დასაქმებულთა მიერ სამუშაო პირობების აღწერითა და მოთხოვნებით ნათელი ხდება რომ შრომითი ექსპლუატაცია არ არის საგამონაკლისო ვითარება კონკრეტულ დასაქმების ადგილებზე და მას საერთო ხასიათი აქვს. უფრო მეტიც ეს შემთხვევები ზედმიწევნით ზუსტად აჩვენებს შრომის კანონმდებლობის ხარვეზებს და სახელმწიფოს პოლიტიკის პრობლემებს, რაც დამსაქმებელს შესაძლებლობას აძლევს, დასაქმებულთა ექსპლუატაციის გზით სრულად აითვისოს სამუშაო ძალა.

სამუშაო ადგილებზე დასაქმებულთა ჩაგვრის სისტემურობა სახელმწიფოს პასუხისმგებელობას და მის პროაქტიულ როლს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს. გამოცდილება აჩვენებს, რომ შრომითი უფლებების სათანადოდ უზრუნველსაყოფად მხოლოდ სასამართლო ხელისუფლება საკმარისი არ არის. აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს შრომის ადმინისტრირების გამართული სისტემა, რაც დააზღვევს შრომითი უფლებების დარღვევის ფაქტებს და სახელმწიფოს ამგვარ შემთხვევებზე დროული რეაგირების შესაძლებლობას მისცემს. შრომის პოლიტიკის ცვლილება, მათ შორის, შრომის ადმინისტრირების მექანიზმების ეფექტიანობის გაზრდა, მაღალი ალბათობით საქართველოსა და ევროკავშირის ასოცირების 2017-2020 წლების დღის წესრიგის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა, რაც სახელმწიფოს სუსტ პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.

ლინა ღვინიანიძე
სოციალური უფლებების პროგრამის დირექტორი

უსახლკარობა, სახელმწიფოსგან არაღიარებული პრობლემა

საქართველოში უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის სერვისები არ არის განვითარებული, ხოლო უსახლკარობის გრძლევადიანი სერვისები საერთოდ არ არსებობს. ცალკეული მუნიციპალიტეტების მცდელობები კი საცხოვრისის დროებითი სერვისებით უპასუხონ უსახლკაროთა გადაუდებელ საჭიროებებს, ვერ ჭრის მათ პრობლემებს და ვერ გარდაქმნის მათი უსახლკარობის მდგომარეობას.

სახელმწიფო პოლიტიკა უსახლკაროთა მიმართ მინიმალურადაც კი არ გარდაქმნილა, უსახლკაროები და სათანადო საცხოვრისის არმქონე პირები კვლავ სტაგნაციურ და მძიმე უფლებრივ მდგომარეობაში არიან. უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის ხედვისა და სათანადო კანონმდებლობის არარსებობა, ასევე სტატისტიკური მონაცემების დაუმუშავებლობა ფუნდამენტურ პრობლემებად რჩება ამ სფეროში.

2016 წელს, EMC-ს მიერ ჩატარებულმა კვლევამ „უსახლკარობა, სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი“ უსახლკარო ჯგუფებთან მიმართებით არაერთი მნიშვნელოვანი და მწვავე პრობლემა გამოავლინა. კვლევის შედეგებმა ნათელი გახადა, რომ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან უსახლკარობის საკითხზე პასუხისმგებლობის მოხსნა და მუნიციპალურ დონეებზე წარმოებული სუსტი პოლიტიკა სრულიად ფრაგმენტულს და არაეფექტიანს ხდის მუნიციპალიტეტების მიდგომებს უსახლკარო ჯგუფებთან მიმართებით. ამასთან, კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის სერვისები არ არის განვითარებული, ხოლო უსახლკარობის გრძლევადიანი სერვისები საერთოდ არ არსებობს. ცალკეული მუნიციპალიტეტების მცდელობები კი საცხოვრისის დროებითი სერვისებით უპასუხონ უსახლკაროთა გადაუდებელ საჭიროებებს, ვერ ჭრის მათ პრობლემებს და ვერ გარდაქმნის მათი უსახლკარობის მდგომარეობას.

ფოტო: „ნეტგაზეთი“, უსახლკაროთა აქცია

თბილისის მასშტაბით უსახლკარობის არაერთი ფორმა გამოვლინდა, რომელთაც საცხოვრისის ფიზიკური, სამართლებრივი და სოციალური განზომილებებიდან ექსკლუზიის განსხვავებული ხარისხი ახასიათებთ. უსახლკარობის კვლავწარმოება კი როგორც წესი სტრუქტურულ, ინსტიტუციურ და საოჯახო ურთიერთობების დონეზე ხდება, რაც უმეტესად ტერიტორიულ გადაადგილებას, ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობას, უმუშევრობას თუ არასათანადო დასაქმებას, საცხოვრისის სერვისების არარსებობას და/ან არასათანადოობასა და სხვა სისტემურ თუ სტრუქტურულ ფაქტორებს უკავშირდება.

EMC-ს კვლევა, რომელიც თბილისის მასშტაბით უსახლკარო შინამეურნეობების მდგომარეობის თვისებრივ შესწავლასა და მოქმედი კანონმდებლობისა და პოლიტიკის შეფასებას მოიცავს, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მიმართ საცხოვრისის პოლიტიკის შექმნის მიზნით რეკომენდაციებს შეიმუშავებს.

ვიდეორგოლი: უსახლკარობა, სახელმწიფოსგან არაღიარებული პრობლემა

- *უსახლკარობა – სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი*
- *სათანადო საცხოვრისის უფლება პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამებში*
- *For Tbilisi’s squatters, things must change*
- *საცხოვრისი და თავისუფლება: საცხოვრისზე უფლებისათვის მებრძოლი აქტივიზმის ლიმიტები და პერსპექტივები*

ასევე, EMC-ს მხარდაჭერითა და სახალხო დამცველის წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობით, მიმდინარე წლის ივნისში გამართული სოციალურად დაუცველი ჯგუფების პერმანენტული აქციების შედეგად, ორ სახელმწიფო ობიექტზე მცხოვრებ 250-მდე ოჯახს, ბაზისური კომუნიკაციების გარეშე ცხოვრების 4 წლიანი გამოცდილების შემდეგ,

თბილისის მერიის შესაბამისი ნებართვის საფუძველზე (რომელიც ქონების მესაკუთრეა), მიეცათ სამართლებრივი შესაძლებლობა მათ ფაქტობრივ საცხოვრებელ ობიექტებზე, აღუდგეთ ელექტროენერგიის მიწოდება. ერთ-ერთ შენობაში ელექტროგაყვანილობა უკვე აღდგენილია.

კვლევის შედეგების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, EMC-მ ასევე მოამზადა ვიდეორგოლი, რომელშიც ნათლად გადმოცემულია უსახლკარობის კუთხით არსებული გამოწვევები და სახელმწიფო პოლიტიკა.

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა გადასახედია!

არასამთავრობო ორგანიზაციებმა და პროფესიულმა კავშირებმა ერთობლივი განცხადებით მიმართეს საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას, რომლის მთავარი მოთხოვნა შრომითი უფლების დარღვევების პრევენციასა და მათზე სათანადო რეაგირების მიზნით, შრომის ინსპექტირების მექანიზმის დაუყოვნებლივ რეფორმირებას გულისხმობდა.

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის სისუსტემ უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებულად საგანგაშო შედეგები გამოიწვია. დასაქმების ადგილებზე მუშების დაღუპვისა და დაშავების ინციდენტების წარმოუდგენელ სიხშირეს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი გამოხმაურება მოჰყვა, რომლის მთავარ მოთხოვნას უსაფრთხო შრომის უფლების გარანტირება და სახელმწიფოს მიერ პასუხისმგებლობის აღება წარმოადგენდა. არასამთავრობო ორგანიზაციებმა და პროფესიულმა კავშირებმა ერთობლივი განცხადებით მიმართეს საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას, რომლის მთავარი მოთხოვნა შრომითი უფლების დარღვევების პრევენციასა და მათზე სათანადო რეაგირების მიზნით, შრომის ინსპექტირების მექანიზმის დაუყოვნებლივ რეფორმირებას გულისხმობდა.

შრომის ინსპექციის გაძლიერების მოთხოვნით EMC-მ პროფესიულ კავშირებთან, აქტივისტურ ჯგუფებთან და სხვა მხარდამჭერებთან ერთად საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წინ, გამართა აქცია „შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა გადასახედია.“

დოკუმენტური ფილმი: „ჭიათურა 187კმ“

სამუშაო ადგილებზე მომეტებული ტექნიკური საფრთხის კონტროლის მექანიზმი და მისი ეფექტურობა

რა ვალდებულებებს აკისრებს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება საქართველოს შრომითი უფლებების დაცვის მიმართულებით

მოდი აქციაზე და მოითხოვე ძლიერი შრომის ინსპექცია!

შრომის უფლების დაცვისა და დასაქმების პოლიტიკის მიმოხილვა პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამებში

შრომის პოლიტიკის და შრომის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით EMC-მ 3 პოლიტიკის დოკუმენტი/მიმოხილვა გამოაქვეყნა და 4 საჯარო დისკუსია, 1 ფოტო-გამოფენა, 2 სამუშაო შეხვედრა გამართა.

მუშათა პროტესტი ზვარეში

ზვარეს შემთხვევა სამშენებლო სამუშაოებზე დასაქმებული მუშების კოლექტიური წინააღმდეგობის ერთ-ერთი პირველი პრეცედენტია.

ხარაგაულის რაიონის სოფელ ზვარეში, რკინიგზის სამშენებლო სამუშაოებზე დასაქმებული მუშების პროტესტი ამ პერიოდის მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს. დასაქმებულები გაუსაძლისი სამუშაო პირობებისა და უსაფრთხოების მაღალი რისკებიდან გამომდინარე უარს აცხადებდნენ სამუშაოების გაგრძელებაზე და ბაზისური შრომითი უფლებების დაცვას მოითხოვდნენ. რამდენიმე გაფიცვისა და წინააღმდეგობის შემდეგ, დამსაქმებელსა და დასაქმებულებს შორის შედგა შეთანხმება, რომლითაც რკინიგზის მშენებლობაზე პასუხისმგებელმა კომპანიამ აიღო შრომის კოდექსით დადგენილი ცალკეული გარანტიების შესრულების ვალდებულება.

ზვარეს შემთხვევა სამშენებლო სამუშაოებზე დასაქმებული მუშების კოლექტიური წინააღმდეგობის ერთ-ერთი პირველი პრეცედენტია. ამასთან, ამ მაგალითმა ნათელი გახადა სახელმწიფო კომპანიის „საქართველოს რკინიგზის“ მხრიდან დასაქმებულთა იგნორირების პოლიტიკა. რამდენადაც რკინიგზის სამშენებლო სამუშაოებს კონკრეტული კომპანია სწორედ „საქართველოს რკინიგზასთან“ კონტრაქტის ფარგლებში ახორციელებს, დასაქმებულთა უფლებრივ მდგომარეობაზე ზედამხედველობა „საქართველოს რკინიგზის“ ვალდებულებაა, რომელიც მთელი პროცესის მანძილზე არ აღიარებდა ამ პასუხისმგებლობას.

EMC მუშათა პროტესტის განმავლობაში, მოვლენების ადგილზე მონიტორინგით, სამართლებრივი კონსულტაციებით, საჯარო განცხადებებითა და სოლიდარობის აქციების ფორმით მნიშვნელოვან მხარდაჭერას უწევდა დასაქმებულთა მიერ საკუთარი უფლებების დაცვისთვის ბრძოლის პროცესს.

აწარმოე რეალური პოლიტიკა!

აქციის კონცეფციას წარმოადგენდა პარლამენტის შენობასთან ძირითადი საზოგადოებრივი მოთხოვნების კორიდორის გაკეთება და ამ გზით პარლამენტარებისთვის კონკრეტული მესიჯების მიწოდება.

მიმდინარე წელი საპარლამენტო არჩევნებიდან გამომდინარე განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო. საკანონმდებლო ორგანოს დღის წესრიგზე ზეგავლენის მოხდენისა და რეალური სოციალური საჭიროებების არტიკულირების მიზნით, პარლამენტის შეკრების პირველ დღეს, პარლამენტის შენობის წინ EMC-ს, პროფესიული კავშირების, მწვანე მუშტის, ქალთა მზერას, თვითორგანიზების ქსელის, აუდიტორია 115-ის, თბილისის სოლიდარობის ქსელის, თეთრი ხმაურის მოძრაობისა და ახალგაზრდა მწვანეების ერთობლივი აქცია გაიმართა.

აქციის კონცეფციას წარმოადგენდა პარლამენტის შენობასთან ძირითადი საზოგადოებრივი მოთხოვნების კორიდორის გაკეთება და ამ გზით პარლამენტარებისთვის კონკრეტული მესიჯების მიწოდება. აქციისა და მის ფარგლებში გავრცელებული მანიფესტის „აწარმოე რეალური პოლიტიკა“ ძირითად მოთხოვნებს წარმოადგენდა:

- შეიქმნას ქმედითი შრომის ინსპექცია;
- დაინერგოს მწვანე ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპები;
- გატარდეს განათლების ფუნდამენტური რეფორმა;
- დაიწყოს კეთილდღეობაზე ორიენტირებული ეკონომიკური განვითარება;
- დასრულდეს რეპრესიული ნარკოპოლიტიკა.

შრომის ინსპექტირების მექანიზმის შეფასება და დასაქმებულთა შრომითი უფლებების მდგომარეობა საქართველოში

შრომის ინსპექტირების მექანიზმის შეფასება და დასაქმებულთა შრომითი უფლებების მდგომარეობა საქართველოში

შრომის პირობების ინსპექტირების მოქმედი მექანიზმი ვერ პასუხობს ქვეყანაში შრომითი უფლებების მდგომარეობის მხრივ არსებულ გამოწვევებს და მნიშვნელოვნად არის აცდენილი ILO-ს მიერ დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებსა თუ სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებებს.

შრომის ინსპექტირების მექანიზმისა და დასაქმებულთა უფლებრივი მდგომარეობის კვლევა საანგარიშო პერიოდის მნიშვნელოვან საქმიანობას წარმოადგენდა. EMC-ს კვლევის ერთი ნაწილი სწავლობს შრომის პირობების ინსპექტირების მექანიზმს და კრიტიკულად აანალიზებს მის მანდატსა და საქმიანობას ადგილობრივი კანონმდებლობის, საერთაშორისო სტანდარტებისა და სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი მოდელების ანალიზზე დაყრდნობით, ხოლო კვლევის მეორე ნაწილი აჩვენებს შრომითი ურთიერთობებისა და შრომითი პირობების მდგომარეობას დასაქმების სხვადასხვა სექტორში (წიაღისეულის მომპოვებელი და გადამამუშავებელი საწარმოები, სარკინიგზო სატრანსპორტო სფერო, მსუბუქი მრეწველობა და მომსახურების სექტორი).

კვლევამ გამოავლინა, რომ შრომის ინსპექციის გაუქმებიდან თითქმის ათი წლის შემდეგ შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის შექმნა მნიშვნელოვანი ნაბიჯია, თუმცა, შესწავლამ აჩვენა, რომ შრომის პირობების ინსპექტირების მოქმედი მექანიზმი ვერ პასუხობს ქვეყანაში შრომითი უფლებების მდგომარეობის მხრივ არსებულ გამოწვევებს და მნიშვნელოვნად არის აცდენილი ILO-ს მიერ დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებსა თუ სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებებს.

წიაღისეულის მომპოვებელ და გადამამუშავებელ საწარმოებში, ასევე სარკინიგზო სატრანსპორტო სფეროში, რესპონდენტები საუბრობენ უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მწვავე საჭიროებებზე, ასევე შრომითი ურთიერთობის არასათანადო რეგულირებისა და ანაზღაურების პრობლემურობის შესახებ. ხოლო მსუბუქი მრეწველობისა და მომსახურების სფეროში მძიმე გამოწვევაა არასრული და პრეკარიატული დასაქმება, თანამშრომლებს შორის უფლებამოვალეობების გამიჯვნა, ზეგანაკვეთური შრომის ინტენსივობა და მშრომელთა დაჯარიმების არაადეკვატური პოლიტიკა.

დასაქმებულთა უფლებები საჯარო დაწესებულებათა რეორგანიზაციის პროცესში

შრომის ინსპექტირების მექანიზმის შეფასება და დასაქმებულთა შრომითი უფლებების მდგომარეობა საქართველოში

შრომითი უფლებების დარღვევის სისტემურობის საპასუხოდ, შრომის ინსპექტირების მექანიზმის მრავალმხრივი რეფორმის გატარების მიზნით, EMC-იმ შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიმართ რეკომენდაციები შეიმუშავა.

კვლევის ფარგლებში, დასაქმებულებთან, ჩატარებული ინტერვიუებიდან ამონარიდები :

- „წარმოიდგინეთ ეხლა 40 გრადუსი ტემპერატურაა გარეთ, უკვე გაუსაძლისი მდგომარეობაა და ღუმელი, დიდი ღუმელი – 10 მეტრი აქვს დიამეტრი, მუშაობს 15 მეგავატზე, ქვას ალღვობს და იმ პერიოდში არაფერი ვინტილაცია არ გაქვს და შარშან შემოიტანეს მაცივარი, რომ ცივი წყალი დალიეთო, არ დაწყდეთო.“

-„ადამიანი რომ შახტასთან დამარცხდება, კომპანია ყოველთვის ეუბნება, შენ ახლა მაგი არ გაამხილო, რომ ეგ სამსახურში მოგივიდა და ჩვენ ყველანაირად შეგიწყობთ ხელს; წადი ახლა ბიულეტენზე; ბიულეტენის იქითაც შეგიძლია, ერთი თვე არ გამოხვიდე და მერე დაგაბრუნებთ სამუშაოზე ჩვეულებრივად”.

- „არ გინდა, წადი, გაძალებს ვინმე მუშაობას? რივი გვიდგას აქ და მივიღებთ იმას, ვინც დაჯერდება იმ პირობებს, რაზეც შენ მუშაობ.“



2015 წლის აპრილში, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი, სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების საკითხებზე ზედამხედველობის მიზნით შეიქმნა. თუმცა, სტატისტიკა აჩვენებს, რომ საწარმოო ტრამვების შედეგად დაღუპულთა და დაშავებულთა მაჩვენებელი, დეპარტამენტის ფუნქციონირების პერიოდში არათუ მცირდება, არამედ გაზრდილია. 2016 წელს, წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა 58 და დაშავდა 85 დასაქმებული.

სტრატეგიული სამართალწარმოება

საანგარიშო პერიოდში EMC-მ 4 სტრატეგიული საქმე დაიწყო. ამათგან, 2 საქმე საკონსტიტუციო სასამართლოს, 1 სახალხო დამცველის აპარატისა და 1 საერთო სასამართლოების წინაშე;

- EMC კონსტიტუციური სარჩელით მოითხოვს იმ რეგულაციების არაკონსტიტუციურად ცნობას რაც კერძო სექტორში დასაქმებულ მამაკაცებს არ აძლევს ე.წ. დეკრეტული შვებულებით სარგებლობისა და მისი ანაზღაურების უფლებას;

- EMC კონსტიტუციური სარჩელით მოითხოვს იმ რეგულაციების არაკონსტიტუციურად ცნობას რაც ქუჩაში მცხოვრებ უსახლკარო (მიუსაფარ) პირებს უზღუდავს სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის, საარსებო შემწეობისა და სხვა სოციალური ბენეფიტების მიღების უფლებას;

- EMC-მ მიმართა სახალხო დამცველს საჯარო სამსახურში დასაქმებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სოციალური პაკეტის შეზღუდვის დისკრიმინაციულობის დადგენის მოთხოვნით;

- EMC საერთო სასამართლოში წარმოადგენს სახელმწიფოს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე თვითნებურად აშენებულ ნაგებობაში მცხოვრები ოჯახის ინტერესებს და მოითხოვს დემონტაჟის თაობაზე მერიის ზედამხედველობის სამსახურის აქტის ბათილად ცნობას, რომელიც არღვევს ნაგებობაში მცხოვრები ოჯახის უფლებას საცხოვრისზე;

დასაქმებულთა, საცხოვრისის არმქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიზნით, ორგანიზაციამ ასევე დამატებით 11 საქმე აწარმოა საერთო სასამართოლების, საკონტიტუციო სასამართლოსა და ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე.

რეპრესიული ნარკოპოლიტიკა

სამწუხაროდ, დემურ სტურუას საქმის გახმაურების შემდეგაც კი სახელმწიფოს მხრიდან არ გადადგმულა სისტემური ნაბიჯები არაჰუმანური ნარკოპოლიტიკის დასასრულებლად. საკანონმდებლო დონეზე რეპრესიული რეჟიმის შენარჩუნებასთან ერთად, პოლიცია პრაქტიკაშიც აქტიურად იყენებს მის ხელთ არსებულ ბერკეტებს.

დემურ სტურუას თვითმკვლელობის საქმე 2016 წლის ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ შემთხვევას წარმოადგენს, რომელმაც კიდევ ერთხელ სხვა რაკურსით აჩვენა როგორც მთლიანად საპოლიციო სისტემის, ისე ნარკოპოლიტიკის რეპრესიულობა და ძალადობრივი ბუნება. ასევე, ნათლად გამოაჩინა სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის ისეთი ფორმები, რაც მოქალაქეების დაშინებას, შანტაჟს და თანამშრომლობაზე დაყოლიებას/იძულებას ემყარება. საქმის გახმაურების დღიდან EMC სისხლის სამართლის საქმეში დემურ სტურუას ოჯახის ინტერესებს წარმოადგენდა. ორგანიზაციამ საქმის სამართლებრივი შეფასების მიზნით რამდენიმე საჯარო განცხადება გაავრცელა, რომელშიც პროკურატურისგან კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებას, ოჯახის უსაფრთხოების დაცვას, პოლიციელებისთვის უფლებამოსილების შეჩერებას და ბრალდებული პოლიციელის დევნის ოპერაციის დროულად განხორციელებას მოითხოვდა. ამ ეტაპზე საქმე სასამართლოშია გადაგზავნილი და არსებითი განხილვის ეტაპი იწყება. სამწუხაროდ, დემურ სტურუას საქმის გახმაურების შემდეგაც კი სახელმწიფოს მხრიდან არ გადადგმულა სისტემური ნაბიჯები არაჰუმანური ნარკოპოლიტიკის დასასრულებლად. საკანონმდებლო დონეზე რეპრესიული რეჟიმის შენარჩუნებასთან ერთად, პოლიცია პრაქტიკაშიც აქტიურად იყენებს მის ხელთ არსებულ ბერკეტებს. EMC-ს მიერ ქუჩის ნარკოტესტირებაზე მომზადებულმა მიმოხილვამ აჩვენა, რომ იძულებითი ნარკოტესტირება კვლავ რეპრესიულ საპოლიციო ინსტრუმენტად რჩება, რომლის დროსაც განსაკუთრებით პრობლემურია:

- ნარკოტესტირებაზე გადაყვანის საფუძვლები და ოპერატიული ინფორმაციის ფართომასშტაბიანი გამოყენება პოლიციის მხრიდან;
- ადმინისტრაციული დაკავების გამოყენება და შესამოწმებელ პირთა მრავალსაათიანი დაყოვნება არასათანადო ადგილებში;
- უფლებების დაუსაბუთებელი შეზღუდვა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტები.

EMC, როგორც ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმის წევრი, აქტიურად მუშაობს ნარკოპოლიტიკის და კანონმდებლობის ფუნდამენტური ცვლილებისთვის და ჩართულია საკანონმდებლო პაკეტის მომზადებაში. სწორედ ამ მიზნით, ორგანიზება გაუწია 2 დღიან ვორქშოფს, რომლის ფარგლებშიც პლატფორმის მონაწილეებმა საკანონმდებლო ცვლილებების შინაარსი და მასშტაბები განიხილეს. გარდა ამისა, ორგანიზაციამ მონაწილეობა მიიღო საქართველოს პარლამენტში ჯანდაცვის კომიტეტის გაფართოებულ შეხვედრაში, სადაც პლატფორმამ კომიტეტის წევრებს საკუთარი მოსაზრებები წარუდგინა, მათ შორის იმ საკანონმდებლო პაკეტზე, რომლის დასრულებულ ვერსიასაც უახლოეს პერიოდში წარადგენს. საკანონმდებლო პაკეტი არ შემოიფარგლება ერთი კონკრეტული ნარკოტიკული ნივთიერების მიმართ პოლიტიკის ლიბერალიზაციით, ან კონკრეტული ტიპის სასჯელის გაუქმებით, არამედ მისი მიზანია სამართლიანად მოაწესრიგოს ისეთი საკითხები, როგორებიცაა: პირადი მოხმარების მიზნით ნებისმიერი ნარკოტიკული საშუალების შეძენა/შენახვა; მოხმარებისთვის გათვალისწინებული სანქციები; იძულებითი ნარკოტესტირება; ნარკოტიკული ნივთიერებების ოდენობები; ნარკოდანაშაულში მსჯავრდებულ პირთა სამოქალაქო უფლებებით სარგებლობა და სხვა.

რა შეიცვალა იძულებითი ნარკოტესტირების პრაქტიკაში

EMC დემურ სტურუას საქმეზე მიმდინარე გამოძიების საწყის ეტაპებს აფასებს

მოქმედი ნარკოპოლიტიკა ლახავს ადამიანის უფლებებსა და ღირსებას

EMC-ის განცხადება დემურ სტურუას დედის ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტზე

EMC, როგორც ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმის წევრი, აქტიურად მუშაობს ნარკოპოლიტიკის და კანონმდებლობის ფუნდამენტური ცვლილებისთვის და ჩართულია საკანონმდებლო პაკეტის მომზადებაში. სწორედ ამ მიზნით, ორგანიზება გაუწია 2 დღიან ვორქშოფს, რომლის ფარგლებშიც პლატფორმის მონაწილეებმა საკანონმდებლო ცვლილებების შინაარსი და მასშტაბები განიხილეს.

წინასაარჩევნო გარემო

სამწუხაროდ, არც არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე და არც 2016 წლის პირველ ნახევარში გამოქვეყნებული ფარული ჩანაწერების საქმეები არ არის ამ დრომდე გამოძიებული. ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ სამართალდამცავი სისტემა არ არის მზად კვალიფიციურად და მიუკერძოებლად უპასუხოს ამ ტიპის დანაშაულს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამ დანაშაულს ნათლად ახლავს პოლიტიკური კონტექსტი.

ფოტო: „ნეტგაზეთი" მარიამ ნიკურაძე

2016 წელს განვითარებული მოვლენების მნიშვნელოვანი ნაწილი წინასაარჩევნო კონტექსტში ვითარდებოდა. წინასაარჩევნო გარემოზე და ზოგადად პოლიტიკურ პროცესებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ინტერნეტ სივრცეში პირადი ცხოვრების ჩანაწერების უკანონო გავრცელებამ რაც არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრეც გრძელდებოდა. კამპანია "ეს შენ გეხებამ", რომელშიც აქტიურად არის ჩართული EMC, არაერთხელ დააფიქსირა პოზიცია, რომ წინასაარჩევნო გარემოზე ფარული ჩანაწერებით ზეგავლენის მოხდენა მიუღებელია. სამწუხაროდ, არც არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე და არც 2016 წლის პირველ ნახევარში გამოქვეყნებული ფარული ჩანაწერების საქმეები არ არის ამ დრომდე გამოძიებული. ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ სამართალდამცავი სისტემა არ არის მზად კვალიფიციურად და მიუკერძოებლად უპასუხოს ამ ტიპის დანაშაულს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამ დანაშაულს ნათლად ახლავს პოლიტიკური კონტექსტი.

რაც შეეხება, წინასაარჩევნო კონტექსტს, პარტიების დიდი ნაწილის საარჩევნო პროგრამების საჯაროო ხელმისაწვდომობამ, EMC-ს შესაძლებლობა მისცა, შეეფასებინა პარტიების ხედვები ისეთ საკითხებზე როგორებიცაა:

- რეფორმები მართლმსაჯულების სექტორში;
- სუს-ის და საპოლიციო სისტემის რეფორმები;
- ნარკოპოლიტიკა პოლიტიკური პარტიების პროგრამებში;
- სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის საკითხები.

რა უნდა ვიცოდეთ პოლიციასთან კონტაქტის დროს

პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამების მიმოხილვა

წინასაარჩევნოდ EMC-მ ასევე მოამზადა და გამოაქვეყნა ბროშურა "რა უნდა ვიცოდეთ პოლიციასთან კონტაქტის დროს", რომელშიც განმარტებულია ძირითადი უფლებები და დაცვის გარანტიები შემდეგ საკითხებზე: ადმინისტრაციული დაკავება; ნარკოტესტირება; შეჩერება და შემოწმება; მოწმედ დაკითხვა და სხვა.

პოლიციის პოლიტიკური ნეიტრალიტეტი

სამართალდამცავი სისტემა მკვეთრად ცენტრალიზებულია და დაუბალანსებელია მინისტრის, როგორც პოლიტიკური ფიგურის უფლებამოსილებები.

წინასაარჩევნო პერიოდის გათვალისწინებით, კვლავ აქტუალური იყო სამართალდამცავი ორგანოების პოლიტიკური ნეიტრალიტეტის საკითხი, მით უმეტეს პოლიტიკური ოპოზიციის მიმართ განვითარებული ძალადობისა და დაპირისპირების ფონზე. EMC დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში სწავლობდა პოლიციის სისტემაში პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვის მდგომარეობას, რომლის შედეგებიც 2016 წლის სექტემბერში გამოაქვეყნა. შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურის, საკადრო პოლიტიკისა და შს სამინისტროს ხელმძღვანელების საჯარო გამოსვლების შესწავლის შედეგებმა აჩვენა, რომ:

- სამართალდამცავი სისტემა მკვეთრად ცენტრალიზებულია და დაუბალანსებელია მინისტრის, როგორც პოლიტიკური ფიგურის უფლებამოსილებები;

- ცალკეული საპოლიციო ინსტრუმენტები (მაგალითად, იძულებითი ნარკოტესტირება, ადმინისტრაციული დაკავება და სხვა) იმდენად ხარვეზიანი და ბუნდოვანია, რომ ხელს უწყობს პოლიციის თვითნებობას და ამარტივებს პოლიტიკური მიზნებით მათ გამოყენებას;

- სუსტია სისტემის შიდა და გარე კონტროლის მექანიზმები, რაც დაუსჯელობის რისკებს ზრდის.

ასევე, საპოლიციო პრაქტიკაზე დაკვირვებამ გამოკვეთა რამდენიმე საინტერესო გარემოება:

- კვლევის ფარგლებში არ გამოვლენილა უშუალოდ პოლიციის მხრიდან პოლიტიკური ოპოზიციის, მათი ლიდერებისა და აქტიური წევრების მიმართ ძალადობის სისტემური პრობლემა;

- მონიტორინგის პროცესში არ აღნიშნულა პოლიტიკური ოპოზიციის მიერ ორგანიზებულ აქტივობაში (აქცია/მანიფესტაციასა და სხვა) უხეში ძალის გამოყენებით პოლიციის ჩარევისა და მისი აღკვეთის ფაქტები;

- თუმცა, კვლევამ გამოავლინა პოლიციის მხრიდან მკვეთრად რეპრესიული საპოლიციო ძალის გამოყენება ინდივიდუალური აქტივისტების/საზოგადოებრივი ჯგუფების მიმართ;

- კვლევამ ასევე აჩვენა პოლიციის ინერტულობა და არაეფექტიანობა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ჯგუფების მიმართ ძალადობისას. როგორც წესი, ძალადობა კერძო პირების მხრიდან იყო გამოვლენილი და ზოგიერთ შემთხვევაში ორგანიზებულობის შთაბეჭდილებას ტოვებდა.



ვიდეორგოლი: რა უშლის ხელს პოლიტიკურად ნეიტრალური პოლიციის შექმნას?!

ამგვარი ვითარება, წინა წლებთან შედარებით, "პოლიტიკური ძალადობის" ერთგვარ სახეცვლილ ფორმას იღებდა.

კვლევის შედეგების მასშტაბურად გავრცელებისთვის და ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, EMC-მ ასევე მოამზადა ვიდეორგოლი, რომელშიც მარტივად არის გადმოცემული საპოლიციო სისტემაში პოლიტიკური ნეიტრალიტეტის მიმართულებით არსებული გამოწვევები.

პოლიტიკური ნეიტრალიტეტი პოლიციის სისტემაში

საპოლიციო რეფორმები სამართალდამცავ სისტემაში

საპარლამენტო არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ, EMC-მ ორგანიზება გაუწია დისკუსიას მრგვალი მაგიდის ფორმატში, სადაც განიხილეს სამართალდამცავ სისტემაში გასატარებელი რეფორმები და ახალი პარლამენტის პირობებში ამ რეფორმის პერსპექტივები. შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო EMC-ს მიერ მომზადებული დოკუმენტი, რომელიც პოლიციისა და პროკურატურის სისტემაში გასატარებელი რეფორმების შესახებ ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გაცემულ რეკომენდაციებს აერთიანებს.

საპარლამენტო არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ, EMC-მ ორგანიზება გაუწია დისკუსიას მრგვალი მაგიდის ფორმატში, სადაც განიხილეს სამართალდამცავ სისტემაში გასატარებელი რეფორმები და ახალი პარლამენტის პირობებში ამ რეფორმის პერსპექტივები.

ბოლო წლებში სამართალდამცავ ორგანოებში განხორციელებული რეფორმების მიუხედავად (2015 წელს შსს-სა და სუს-ის გაყოფა; მთავარი პროკურორის შერჩევა-დანიშვნის წესის ცვლილება და სხვა), კვლავ გამოწვევად რჩება ისეთი საკითხები როგორებიცაა:

- დეპოლიტიზირება და ინსტიტუციური განვითარება;

- ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობის მექანიზმები;
- ძალის გადამეტების პრევენცია;
- პერსონალური მონაცემების და პირადი ცხოვრების სათანადო დაცვა;
- იძულების მექანიზმების გამოყენება;
- საგამოძიებო და საპროკურორო სისტემების რეფორმა.

EMC-ს მიერ მომზადებულმა დოკუმენტმა გააერთიანა ამ საკითხებთან დაკავშირებით ადგილობრივი ორგანიზაციების, ექსპერტების, საერთაშორისო ორგანიზაციების და საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციები, ისევე როგორც ადგილობრივი პოლიტიკის დოკუმენტებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

მართლმსაჯულების სისტემა

საკანონმდებლო პაკეტის განხილვის ისტორიამ შექმნა განცდა, რომ ცალკეულ დებულებებზე შეთანხმება პოლიტიკური გარიგების საგანი იყო, რაც ხშირად დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა.

საქართველოს პარლამენტმა მართლმსაჯულების რეფორმის "მესამე ტალღის" განხილვა 2016 წლის ბოლოს დაასრულა და მესამე მოსმენით მიიღო. ამ საკანონმდებლო პაკეტის საპარლამენტო განხილვები ერთ წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა და ამ პერიოდის განმავლობაში არაერთხელ მოხდა ცვლილებების შინაარსის გადახედვა ღია განხილვებისა და მონაწილეობის გარეშე. საკანონმდებლო პაკეტის განხილვის ისტორიამ შექმნა განცდა, რომ ცალკეულ დებულებებზე შეთანხმება პოლიტიკური გარიგების საგანი იყო, რაც ხშირად დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. ამის მაგალითია კანონპროექტში საპარლამენტო განხილვების მიწურულს, ნაჩქარევად შეტანილი ცვლილება, რომელმაც განსაზღვრა იმ მოსამართლეების წრე, რომლებზეც საგამოცდო ვადა აღარ გავრცელდება.

მოუმზადებელი და ნაჩქარევი ფორმით მსგავსი ცვლილებების შეტანამ კიდევ უფრო გაამძაფრა კანონპროექტის მიმართ არსებული კრიტიკა, რაც საბოლოო ჯამში პრეზიდენტის მიერ კანონპროექტზე ვეტოს გამოყენებით დასრულდა.

რეფორმის პროცესის გაჭიანურებამ და კანონპროექტის შინაარსის შესუსტებამ ხელი შეუწყო სასამართლო სისტემაში კრიზისის გაღრმავებას, ცალკეული გავლენიანი ჯგუფების გაძლიერებას, რამაც იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შესაძლებლობა მისცა, მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილებები ნაჩქარევად, დაუსაბუთებლად და პროცედურული ხარვეზებით მიეღო.

სტრატეგიული სამართალწარმოება

ამ პერიოდის განმავლობაში EMC აგრძელებდა სტრატეგიული საქმეების წარმოებას ისეთ საკითხებზე, რომლებიც შეეხება რეპრესიულ ნარკოპოლიტიკას, პოლიციის მხრიდან აქტივისტების მიმართ შესაძლო ზეწოლას და უსაფუძვლო დაკავებებს. ასევე, ორგანიზაცია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით აწარმოებს დავებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, მთავარი პროკურატურის, თბილისის საქალაქო სასამართლოს წინააღმდეგ.

ბოლო თვეების განმავლობაში EMC-მ რამდენიმე მნიშვნელოვანი და სტრატეგიული საქმის წარმოება წამოიწყო, მათ შორის, მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს:

- საპოლიციო რეიდის არსებული ფორმის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით;
- წარადგინა სასამართლო მეგობრის მოსაზრება სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის თემაზე;

EMC ასევე ჩართული იყო შემდეგი საქმეების წარმოებაში:

- დემურ სტურუას ოჯახის ინტერესების დაცვა;
- 10 დეკემბერს, "თეთრი ხმაურის მოძრაობის" აქციაზე დაკავებული აქტივისტების საქმე;
- სამტრედიაში დემურ სტურუას საქმესთან დაკავშირებულ აქციაზე უსაფუძვლოდ დაკავებული აქტივისტის საქმე;
- აუდიტორია 115-ის წევრების ინტერესების დაცვა, მათი ოჯახის წევრების მიმართ განხორციელებული ზეწოლის საქმეში.

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემური იყო თანასწორობის კუთხით ქვეყანაში არსებული მდგომარეობა. წინასაარჩევნო პერიოდში თანასწორობის მხარდამჭერი პოლიტიკა და რიტორიკა კიდევ უფრო შესუსტდა და საჯარო დებატებში დისკრიმინირებული ჯგუფების უფლებრივი და სოციალური მდგომარეობის საკითხები ნაკლებად იყო წარმოდგენილი, რაც მეტწილად დომინანტი დისკურსის მიმართ ლოიალობით იყო განპირობებული. მეტიც, ხელისუფლებამ ქორწინებასთან დაკავშირებული საკონსტიტუციო ინიციატივით და მისი სახალხო განხილვით საზოგადოებაში არსებული ჰომოფობიური განწყობების პოლიტიკური ინსტრუმენტალიზება მოახდინა და კიდევ უფრო შეუწყო ხელი წინასწარგანწყობების ზრდას.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობის ანალიზი

სააგენტოს საქმიანობის აშკარა არაეფექტიანობისა და მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში, გამწვავებული პრობლემების გამო, საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაციები მსგავსი მანდატის მქონე უწყების საჭიროებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ.

მიმდინარე პერიოდში ნათლად გამოჩნდა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობის არაეფექტიანობის პრობლემა. მიუხედავად იმისა, რომ სააგენტო პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაშია და პროცესებზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ზეგავლენის რესურსი უნდა ჰქონდეს, უწყებამ კვლავ ვერ შეძლო რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დავებისა და პრობლემების გადაწყვეტა, რაც შესაბამისი პოლიტიკური ნების არარსებობაზე უნდა მიუთითებდეს. EMC-ს მიერ გამოქვეყნებული ანგარიში აჩვენებს, რომ სააგენტოს მანდატის მქონე ინსტიტუციები, როგორც წესი, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში არსებობენ და მათი სუსტი კომპეტენციების მიუხედავად, რეალურად რელიგიური ორგანიზაციების კონტროლის ფუნქციას ასრულებენ. იმ ევროპული ქვეყნების (გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის) გამოცდილების ანალიზი, რომელსაც სააგენტო თავისი როლისა და მნიშვნელობის დასაბუთებისთვის იყენებს, აჩვენებს, რომ სააგენტოს მანდატი, კომპეტენცია და საქმიანობის სტრატეგია არსებითად განსხვავდება მათგან. აღნიშნული ქვეყნების რელიგიის თავისუფლებაზე მომუშავე უწყებებისგან განსხვავებით, სააგენტო ნაკლებად არის ორიენტირებული რელიგიის თავისუფლების, პლურალიზმის, რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვისა და რელიგიური ჯგუფების ინტეგრაციის მიზნებზე. სააგენტოს საქმიანობის აშკარა არაეფექტიანობისა და მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში, გამწვავებული პრობლემების გამო, საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაციები მსგავსი მანდატის მქონე უწყების საჭიროებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ, რაც EMC-ს მიერ ორგანიზებული კონფერენციის „რელიგიის თავისუფლების კუთხით ქვეყანაში არსებული ძირითადი გამოწვევები“ ფარგლებში რელიგიური ორგანიზაციების ნაწილის მიერ გამოითქვა კიდეც. სხვადასხვა მუსლიმი თემის წარმომადგენლები ღიად უთითებდნენ სააგენტოს მხრიდან მუსლიმური რელიგიური ორგანიზაციების კონტროლის პოლიტიკაზე და თემსა და ოფიციალურ რელიგიურ ინსტიტუციებს შორის გაუცხოების ზრდის ტენდენციაზე. აღსანიშნავია, რომ EMC-ს კონფერენციის შემდეგ ხუთმა რელიგიურმა ორგანიზაციამ, რომლებიც სახელმწიფოსგან დაფინანსებას ან სხვა მატერიალურ სიკეთეს იღებენ, (მათ შორის, საპატრიარქომ) პრესკონფერენცია გამართეს, სადაც სააგენტოს საქმიანობის მნიშვნელობაზე და რელიგიის თავისუფლების კუთხით მკვეთრად გაუმჯობესებულ მდგომარეობაზე ისაუბრეს. პრესკონფერენციის მონაწილეების შემადგენლობა და განცხადებები სააგენტოს მხრიდან რელიგიური ორგანიზაციების კონტროლისა და მანიპულირების ნათელ ინდიკატორად შეიძლება ჩაითვალოს. აღსანიშნავია, რომ სააგენტოს ფარგლებში შექმნილი მრჩეველთა საბჭო, რომელიც ძირითადად აკადემიის წარმომადგენლებისა და თეოლოგებისგან შედგება თითქმის არ მუშაობს. საბჭოს წევრების მნიშვნელოვანი ნაწილი აღნიშნულ მოცემულობას სააგენტოს საქმიანობის მიმართ მათი კრიტიკითა და უკმაყოფილებით ხსნის. სააგენტომ ბოლო პერიოდში დაიწყო რელიგიური ორგანიზაციებისთვის ისტორიული საკულტო ნაგებობების დროებით სარგებლობაში გადაცემის და გაფორმების პროცესი, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს პროცესი ფორმალურ ხასიათს ატარებს და ძირითადად ისედაც ფუნქციონირებად, არასადავო შენობებს მოიცავს. ამასთან სახელმწიფო ქონების შესახებ კანონის დისკრიმინაციული ბუნების გამო, აღნიშნული შენობა-ნაგებობების გადაცემა არა საკუთრების უფლებით, არამედ დროებითი სარგებლობის უფლებით ხდება.

სააგენტოს მიმართ დაგროვებული უკმაყოფილებისა და კრიტიკის ფონზე, EMC-ს მიერ ჩატარებული მოკვლევა აჩვენებს, რომ სააგენტოში ინტენსიურად ხდება დანამატების გამოყენება. უწყებიდან გამოთხოვილი ინფორმაციით სააგენტოს თავმჯდომარე დანამატს რეგულარულად იღებს და მისი ოდენობა თითქმის ხელფასის ეკვივალენტურია.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობის კრიტიკული ანალიზი

პრემიები და დანამატები რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოში

რელიგიის თავისუფლების კუთხით ქვეყანაში არსებული გამოწვევები

სეკულარიზმი და თანასწორობის საკითხები პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამებში

აღსანიშნავია, რომ EMC-ს კონფერენციის შემდეგ ხუთმა რელიგიურმა ორგანიზაციამ, რომლებიც სახელმწიფოსგან დაფინანსებას ან სხვა მატერიალურ სიკეთეს იღებენ, (მათ შორის, საპატრიარქომ) პრესკონფერენცია გამართეს, სადაც სააგენტოს საქმიანობის მნიშვნელობაზე და რელიგიის თავისუფლების კუთხით მკვეთრად გაუმჯობესებულ მდგომარეობაზე ისაუბრეს. პრესკონფერენციის მონაწილეების შემადგენლობა და განცხადებები სააგენტოს მხრიდან რელიგიური ორგანიზაციების კონტროლისა და მანიპულირების ნათელ ინდიკატორად შეიძლება ჩაითვალოს.

ფოტო: „სამხრეთის კარიბჭე“; სოფელ მოხეში, მუსლიმები სადავო შენობის გარეთ ლოცულობენ

მუსლიმი თემის უფლებრივი მდგომარეობა

მოხე

მუსლიმი თემის უფლებრივი მდგომარეობა კვლავ მწვავეა. სოფელ მოხეში განვითარებულმა მოვლენებმა რეგიონში მუსლიმი თემის სისტემური ჩაგვრის პრაქტიკები გამოავლინა და სახელმწიფოს არაეფექტიანი და დისკრიმინაციული პოლიტიკა ხილული გახადა. სოფელ მოხეში (ადიგენის მუნიციპალიტეტი) მდებარე სადავო ისტორიული შენობის კონფესიური და ისტორიული მესაკუთრის დადგენის მიზნით სააგენტოს მიერ ჯერ კიდევ 2014 წელს დაფუძნებულმა კომისიამ ვერ შეძლო დებულებით განსაზღვრული მიზნების შესრულება და 2016 წლის პირველ დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება, რომ სადავო შენობა არც ერთ რელიგიურ თემს არ გადაეცემა, მას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭება, სავარაუდო სახელწოდებით „სადავო საკულტო ნაგებობა.“ კომისიის ამგვარმა გადაწყვეტილებამ მუსლიმი თემის უკმაყოფილება გამოიწვია. კომისიის არაეფექტიანობის მიმართ პროტესტის ნიშნად და ასევე სოფელში კერძო სახლში გახსნილ ჯამესთან დაკავშირებით შექმნილი პრობლემების გამო, მუსლიმი მრევლი ყოველ პარასკევს ისტორიული შენობის გვერდზე, ღია ცის ქვეშ ლოცვას აღავლენს. კომისიამ თემს შესთავაზა ლოცვის პრობლემის მოსახსნელად სოფელ მოხეში ახალი მეჩეთის მშენებლობისთვის ქონების გადაცემა ან ძველი ჯამეს შენობის გამოსყიდვა, თუმცა, ადგილობრივმა მუსლიმებმა აღნიშნულ შეთავაზებაზე უარი განაცხადეს და ისინი შენობის ისტორიული და კონფესიური წარმომავლობის დადგენასა და შენობის ნამდვილი მესაკუთრისთვის გადაცემას მოითხოვენ.

ამ დროისთვის ქრისტიან და მუსლიმ თემს შორის ურთიერთობა მკვეთრად დაძაბულია. ყოველ პარასკევს სოფელში ფრაგმენტული კონფლიქტური ინციდენტები ხდება. არსებული უკმაყოფილების პირობებში მთავრობას არ გააჩნია დავის გადაჭრის ხედვა და მუსლიმ და ქრისტიან თემს შორის შექმნილი გაუცხოებისა და დაძაბულობის დეესკალაციის სტრატეგია. მოხეში მდებარე შენობასთან დაკავშირებით მიმდინარე დავა არსებითად რესტიტუციის კანონმდებლობისა და თანმიმდევრული, არადისკრიმინაციული პოლიტიკის არარსებობის შედეგია და ის მწვავედ აყენებს რელიგიური ორგანიზაციებისთვის საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონების დაბრუნების საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგების საჭიროებას. თუმცა, მოხის შემთხვევაში სახელმწიფომ რესტიტუციის პრობლემის ფრაგმენტულ გადაწყვეტაზეც კი უარი თქვა. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის შესაბამისად, სააგენტოს ისტორიულ საკულტო ნაგებობებთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტის ვალდებულება აკისრია, თუმცა, მას ამ დრომდე არ გააჩნია მათი გადაწყვეტის ხედვა და პოლიტიკა. ამ მიმართულებით სახელმწიფოს დემონსტრაციული უმოქმედობა დომინანტი რელიგიური ინსტიტუციის მიმართ მისი ლოიალობით უნდა იყოს განპირობებული. ამასთან უნდა ითქვას, რომ მანამდე სააგენტოს მიერ გაკეთებული განცხადებები, რომ კომისიის გზით ის მხარეებს შორის ნდობის აღდგენასა და დერადიკალიზებას ცდილობდა, აშკარად მყიფე და დაუსაბუთებელი აღმოჩნდა.

კომისია, რომელიც მხოლოდ საპატრიარქოს და სამუფტო სამმართველოს წარმომადგენლებით იყო დაკომპლექტებული და არ შედიოდა თემის მიერ მითითებული პირები, ცხადია მხარეებს შორის ნდობის აღდგენის ფუნქციას ვერ შეასრულებდა. მეტიც, სააგენტოს მიერ სამართლებრივი ჩარჩოდან პროცესის გაყვანამ და დავის კონსერვირებამ სოფელში კიდევ უფრო მეტი დაპირისპირების რისკები შექმნა. სოფელ მოხეში კიდევ ერთი დაპირისპირება მოხდა. მოხის საჯარო სკოლის დირექტორის მხრიდან მუსლიმი მოსწავლე გოგოს მიმართ სავარაუდო შევიწროების ფაქტი გამოვლინდა, როცა მან მოსწავლეს სკოლაში თავსაფრის მოხდა სთხოვა. აღნიშნულ ინციდენტს სხვა მუსლიმი მოსწავლეების პროტესტი და სოლიდარობის ნიშნად კოლექტიურად სხვა მოსწავლეების მხრიდან ჰიჯაბების ტარება მოჰყვა. აღსანიშნავია, რომ 2016 წლის სექტემბრიდან მოხის საჯარო სკოლაში დანიშნული ახალი დირექტორი მანამდე მოხის კონფლიქტის დროს ქრისტიანი თემის სახელით აქტიურად პოზიციონირებდა.

ფოტო:„ სამხრეთის კარიბჭე“; პროტესტის მეორე დღე

სკოლაში მუსლიმი მოსწავლეების უფლებრივი დოკუმენტირების დროს EMC-იმ სხვა დისკრიმინაციული შევიწროების ფაქტებიც გამოვლიანა.

მოსწავლეების სახელით აღნიშნულ საქმეზე EMC-მ განათლების სამინისტროს დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში და სახალხო დამცველს, როგორც ანტიდისკრიმინაციულ მექანიზმს მიმართა.

ქობულეთი

ფოტო: „ნეტგაზეთი“; პანსიონატი ქობულეთში

ქობულეთში მუსლიმი მოსწავლეების პანსიონატთან დაკავშირებით განვითარებული კონფლიქტი კვლავ კონსერვირებულია. მთავრობამ არ გამოიყენა კონფლიქტის სამართლებრივი და პოლიტიკური ინსტრუმენტებით გადაჭრის საშუალებები, რის გამოც მუსლიმი თემი ამ დრომდე ვერ ახერხებს პანსიონატის გახსნას. პანსიონატის ადმინისტრაციის მიმართ მუქარის ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიება არაეფექტიანია და შესაბამის პირებს ამ დრომდე არ აქვთ მინიჭებული დაზარალებულის სტატუსი. აღნიშნულ საქმეზე 2 წლიანი განხილვის შემდეგ, 2016 წლის 19 სექტემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლომ პანსიონატის ადმინისტრაციისა და სხვა პირების სარჩელზე გადაწყვეტილება გამოიტანა, რომლითაც მოპასუხე კერძო პირების ნაწილში დისკრიმინაციის ფაქტი დაადგინა, თუმცა შსს-ს პასუხისმგებლობა არ გამოკვეთა.

ამ დროისთვის დისკრიმინაციის საქმე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში განიხილება. სააპელაციო სასამართლომ კერძო პირების ნაწილში ძალაში დატოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, შსს-ს ნაწილში კი საქმე ადმინისტრაციულ პალატას გადასცა. 2016 წლის 19 სექტემბერს სახალხო დამცველმა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის საფუძველზე, პანსიონატის შენობის კანალიზაციის სისტემასთან დაერთების მიზნით გამოვლენილი დისკრიმინაციული უმოქმედობის გამო, EMC-ის განაცხადის განხილვის ფარგლებში, შშს ქობულეთის წყლის და ქობულეთის გამგეობის მხრიდან დისკრიმინაციის ფაქტი დაადგინა. მოპასუხე მხარეები ამ დრომდე არაფერს აკეთებენ სახალხო დამცველის გადაწყვეტილების შესასრულებლად.

ბათუმი

ფოტო: „ბათუმელები“; ლოცვა ბათუმის მეჩეთში

ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობისთვის აუცილებელი მიწის ნაკვეთის გადაცემაზე მუსლიმ თემს მთავრობამ უარი უთხრა, რის გამოც, საინიციატივო ჯგუფი თვითორგანიზდა და განვადებით საკუთარი სახსრებით მიწის ნაკვეთი შეიძინა ბათუმში. ამ დრომდე მუსლიმი თემი შესაბამისი თანხების მობილიზებას ცდილობს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ საქმეზე საინიციატივო ჯგუფის სახელით EMC-მ სახალხო დამცველს, როგორც ანტიდისკრიმინაციულ მექანიზმს მიმართა. განცხადებაში EMC უთითებს, რომ იმ პირობებში როდესაც მთავრობა საპატრიარქოს მუდმივად გადასცემს ათეულობით მიწის ნაკვეთსა და შენობა ნაგებობას, მუსლიმი თემისთვის ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთის გადაცემაზე უარი ღიად მიუთითებს სახელმწიფოს დისკრიმინაციულ პოლიტიკაზე.

მოხეში განვითარებული მოვლენების, ასევე ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საკითხთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს სამუფტო სამმათველოსა და თემის განსხვავებული პოზიციები, და სამმართველოს ღია ლოიალობა სამთავრობო პოზიციების მიმართ, კიდევ ერთხელ ადასტურებს, სახელმწიფოს მხრიდან სამუფტო სამმართველოზე არსებულ გავლენებსა და შესაძლო კონტროლს.

აჭარაში საპატრიარქოსთვის საკულტო ნაგებობების მშენებლობისთვის გადაცემული უძრავი ქონებები

ლგბტი ადამიანების უფლებრივი მდგომარეობა

ფოტო: „ნეტგაზეთი“;ტრანსგენდერ ადამიანთა ხსოვნის ეროვნული დღე

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა ხილვადობისა და სისტემურობის მიუხედავად, სახელმწიფოს მიდგომა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის (სოგი–ს) საფუძველზე ჩადენილ დანაშაულთა წინააღმდეგ კვლავ ინციდენტური, ფრაგმენტული და არასისტემურია.

2016 წლის მეორე ნახევარში პოლიტიკურ დღის წესრიგში კვლავ მწვავედ იდგა საქართველოს კონსტიტუციაში ქორწინების შესახებ ჩანაწერის დავიწროების თაობაზე რეფერენდუმის გამართვის საკითხი, რაც წინასაარჩევნო პერიოდში კიდევ უფრო გააქტიურდა და პოლიტიკური დღის წესრიგის ერთ-ერთ მთავარ საკითხად გადაიქცა. კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფების მხრიდან პოლიტიკური ჰომოფობია საჯარო დისკურსში ორგანიზებულად იწარმოებოდა, რამაც ლგბტ თემის სოციალურ ჯგუფად აღიარების, ლგბტ უფლებებთან დაკავშირებით პოზიტიური და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელების პერსპექტივები მნიშვნელოვნად დაასუსტა. პოლიტიკური ჰომოფობიის წარმოებასთან ერთად, მიმდინარე პერიოდში კვლავ გაგრძელდა ლგბტ/ქვიარ ადამიანთა მიმართ გამოვლენილი ძალადობრივი პრაქტიკები, რომელმაც არსებითად მძიმე ფორმები მიიღო, აღიშნულის ნათელი მაგალითი იყო 2016 წლის 14 ოქტომბერს ტრანსგენდერი ქალის სასტიკად ცემისა და დასახიჩრების ფაქტი, რასაც შედეგად მსხვერპლის სიცოცხლის ხელყოფა მოყვა.

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა ხილვადობისა და სისტემურობის მიუხედავად, სახელმწიფოს მიდგომა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის (სოგი–ს) საფუძველზე ჩადენილ დანაშაულთა წინააღმდეგ კვლავ ინციდენტური, ფრაგმენტული და არასისტემურია. შსს და პროკურატურას არ გააჩნიათ თანმიმდევრული და ეფექტიანი პრევენციული პოლიტიკა და სპეციალური ოპერაციული სახელმძღვანელო, რომელიც პოლიციის მუშაკებს დანაშაულთა იდენტიფიკაციაში შეუწყობდა ხელს. მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე პერიოდში EMC აქტიურად ადვოკატირებდა შსს-ს სისტემაში სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე სპეციალიზებული უწყების შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს სოგი–ს ნიშნით ჩადენილ დანაშაულზე სამართალდამცავი სისტემის მხრიდან ეფექტურ რეაგირებას, სიღრმისეული სტატისტიკის წარმოებასა და გრძელვადიან პერსპექტივაში, დანაშაულთა პრევენციას. EMC-მ როგორც თანაორგანიზატორმა მონაწილეობა მიიღო ევროსაბჭოს ეგიდით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში, რომელიც შეეხებოდა ტრანსგენდერ ადამიანთა გენდერის სამართლებრივ აღიარების კუთხით არსებულ გამოწვევებსა და საჭიროებებს.

2016 წლის 10 ნოემბერს **ტრანსგენდერ ადამიანთა ხსოვნის ეროვნულ დღეს** EMC „კოალიცია თანასწორობისთვის“ ფარგლებში შეუერთდა აქციას და მოუწოდა სახელმწიფოს ეფექტიანად გამოიძიოს ტრანსგენდერ ადამიანთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის შემთხვევები. დაგეგმოს ეფექტიანი გზები არსებული დისკრიმინაციული პოლიტიკისა და მიდგომების შესაცვლელად.

EMC-მ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებისა და პრევენციის შესახებ ოპერაციული სახელმძღვანელო შეიმუშავა შს სამინისტროსთვის. დოკუმენტი საერთაშორისო ექსპერტის დახმარებით მომზადდა და მოიცავს ჰომო/ბი/ტრანსფობიურ დანაშაულებთან ბრძოლის მეთოდიკებს და დისკიმინაციული მოტივის იდენტიფიცირების ინსტრუქცია.

შესაძლებლობის გაძლიერებასა და დისკუსიაზე მიმართული აქტივობები

EMC-ს ორგანიზებით გენდერის, სექსუალობისა და პოლიტიკის საკითხებზე რამდენიმე მნიშვნელოვანი სემინარი/დისკუსია ჩატარდა, მათ შორის:

- ორი ტრენინგი ლგბტ აქტივისტებისა და სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის, სადაც მათ პოლიტიკასა და საზოგადოებაში არსებულ სისტემურ პრობლემებზე, მათ შორის, ქვიარ მოძრაობის გამოწვევებსა და წარსულზე იმსჯელეს. ამავე პერიოდში ლგბტ პირთა უფლებებსა და პოლიტიკური ჰომოფობიის საკითხებზე ჩატარდა ორდღიანი ტრენინგი მედიის წარმომადგენლებისთვის.
- სამუშაო შეხვედრა „ემანსიპაციის იდეის ძიებაში“, რომლის მიზანი მუსლიმი ქალების უფლებრივ მდგომარეობაზე დისკუსიის დასაწყებად ჰორიზონტალური და თავისუფალი სააზროვნო სივრცის შექმნა იყო. სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსულმა მუსლიმმა ქალებმა საკუთარ მდგომარეობასა და გამოწვევებზე თავად ისაუბრეს.

შეხვედრის ფარგლებში მონაწილეებმა იმსჯელეს ლაილა აბუ-ლუღოდის ტექსტზე, რომელიც სპეციალურად ჩატარებული ღონისძიებისთვის ითარგმნა; ასევე, შეხვედრის დროს მსჯელობა გაიმართა EMC-ს ორგანიზებით გადაღებულ დოკუმენტურ ფილმზე “რელიგია და ქალი აჭარაში”.

- პოლიტიკაში მოღვაწე ქალებისთვის გაიმართა სამუშაო შეხვედრა/დისკუსიები გენდერისა და პოლიტიკის საკითხებზე. სამუშაო შეხვედრის მიზანი პოლიტიკურ დღის წესრიგში ქალთა საჭიროებებსა და პრიორიტეტებთან დაკავშირებული უხილავი საკითხებისა და გამოწვევების აქტუალიზება და მათი ადვოკატირების ხელშეწყობა იყო. შეხვედრის ფარგლებში მოეწყო პოლიტიკაში მოღვაწე ქალებისა და ფემინისტური და ქვიარ აქტივისტური ჯგუფების შეხვედრა, სადაც მათ ქალთა საჭიროებებზე, მიზნებსა და პრიორიტეტებზე მოსაზრებები წარმოადგინეს.

სჭირდებათ თუ არა მუსლიმ ქალებს ხსნა? შესავალი/ უფლებები და სიცოცხლე

სჭირდებათ თუ არა მუსლიმ ქალებს ხსნა?

სტრატეგიული სამართალწარმოება

საანგარიშო პერიოდში რელიგიის თავისუფლების, დისკრიმინაციისა და ჰომო/ბი/ტრანსფობიურ დანაშაულებთან დაკავშირებით პროგრამამ 20-მდე საქმე აწარმოა, მათ შორის შემდეგი მნიშვნელოვანი სტრატეგიული საქმეები:

- მოხეში მუსლიმი თემის წევრების თვითნებური დაკავების დროს პოლიციის მიერ ძალის გადამეტების და შემდგომში აღნიშნული ინციდენტების არაეფექტიანი გამოძიების გამო, EMC-მ ოთხი პირის სახელით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა. საქმეზე ევროპულმა სასამართლომ უკვე დაიწყო კომუნიკაცია მთავრობასთან. მოცემულ საქმეს EMC ადამიანის უფლებათა ევროპულ ცენტრთან ერთად (EHRAC) აწარმოებს.

- 2016 წლის 17 მაისს საპატრიარქოსთან დაკავებული ლგბტ აქტივისტების სახელით EMC-მ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარადგინა განაცხადი, რომელშიც ის დავობს სახელმწიფოს მიერ ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის (აიდაჰო) აღნიშვნის მიზნით ლგბტ აქტივისტებისა და თემისთვის შეკრების თავისუფლების შეზღუდვაზე და 17 მაისს ალტერნატიული პროტესტის ფორმების გამოყენების დროს, პოლიციის მიერ ლგბტ აქტივისტების თვითნებური დაკავებასა და არასათანადო მოპყრობაზე. საქმეს EMC მის პარტნიორ ორგანიზაციასთან, ადამიანის უფლებათა ევროპულ ცენტრთან ერთად (EHRAC) აწარმოებს.

- 2016 წლის 14 ოქტომბერს სასტიკად ნაცემი ტრანსგენდერი ქალის, ზიზი შეყილაძის საქმესთან დაკავშირებით, რომელიც მოგვიანებით 23 ნოემბერს სიცოცხლესთან შეუთავსებელი დაზიანებების შედეგად გარდაიცვალა, EMC-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას, სასამართლო მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae) წარუდგინა და მას შესაძლო სიძულვილის მოტივის შეფასებას და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრისას გათვალისწინებას სთხოვს.

- EMC–მ სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება წარადგინა 2014 წელს მოკლული ტრანსგენდერი ქალის – საბი ბერიანის საქმესთან დაკავშირებით, რომელსაც საქართველოს უზენაესი სასამართლო იხილავდა. მოსაზრებაში EMC-მ საერთო სასამართლოების რელევანტური პრაქტიკის მიმოხილვა წარადგინა და სასამართლოს აუცილებელი მოგერიების უფლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი პირობების სისტემური შეფასება სთხოვა. უზენაესმა სასამართლომ განაჩენი 2016 წლის 30 დეკემბერს გამოაცხადა და ბრალდებული დამნაშავედ სცნო სისხლის სამართლის კოდექსის 108–ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რითაც შეცვალა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც ბრალდებულის ქმედება აუცილებელი მოგერიების ფარგლებში განხორციელებულ ქმედებად იყო მიჩნეული.

- ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობისთვის მიწის გამოყოფაზე რელევანტური უწყებების, მათ შორის, საქართველოსა და აჭარის ა/რ მთავრობის, ბათუმის მერიის სავარაუდო დისკრიმინაციული უარის გამო EMC-მ ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფის სახელით სახალხო დამცველს, როგორც ანტიდისკრიმინაციულ მექანიზმს მიმართა.

- ულტრანაციონალისტური ჯგუფების მიერ აღმაშენებლის გამზირზე თურქულ და არაბულ კაფეებზე ვანდალური თავდასხმის ფაქტებზე EMC დაზარალებული პირების ინტერესებს იცავდა გამოძიების წინაშე.

- კაფე კივის ადმინისტრაციის სახელით კაფის ფართის მესაკუთრის მხრიდან სავარაუდო დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტზე EMC-მ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის საფუძველზე საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა.

ილუსტრაცია: თამარ ნადირაძე; EMC-ს პროექტის ფარგლებში შექმნილი წიგნის „უსახელოს“ ერთ-ერთი ფრაგმენტი

კვლევითი და სახელოვნებო სტიპენდიები

აქტივისტურ გამოცდილებასთან ერთად, მნიშვნელოვანია, რომ ეს მცდელობები არ დარჩეს ერთჯერად აქტივობად და გახდეს პოლიტიკური დღის წესრიგის ნაწილი. აუცილებელია ჩაგვრის სტრუქტურების გაანალიზება.

ბოლო წლების განმავლობაში უფრო და უფრო აქტიურდება ახალგაზრდების და სტუდენტების ჩართულობა არაფორმალურ პოლიტიკაში. ისინი აქტივიზმით და პროცესებში ჩართულობით ცდილობენ დაუპირისპირდნენ იმ დომინანტ იდეოლოგიას, რომელიც დამყარებულია რესურსების არათანაბარ გადანაწილებაზე, სოციალურ ექსკლუზიაზე, ჰეგემონიურ წესრიგზე თუ კულტურულ დომინაციაზე. თუმცა აქტივისტურ გამოცდილებასთან ერთად, მნიშვნელოვანია, რომ ეს მცდელობები არ დარჩეს ერთჯერად აქტივობად და გახდეს პოლიტიკური დღის წესრიგის ნაწილი. აუცილებელია ჩაგვრის სტრუქტურების გაანალიზება და მიზეზების სიღრმისეული კვლევა, რათა მოხდეს ალტერნატიული ხედვების შემუშავება და მისი პრაქტიკაში დანერგვა.

ამ მიზნით EMC-მ პროექტით “ჩაგრულთა ხმები: კვლევა, ხელოვნება და აქტივიზმი სოციალური ცვლილებებისთვის“ დამწყებ მკვლევრებს და ხელოვანებს მისცა შესაძლებლობა ღია კონკურსის გზით მოეპოვებინათ კვლევითი და სახელოვნებო სტიპენდიები, რათა ემუშავათ მათთვის საინტერესო და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. პროექტის ფარგლებში დაფინანსდა 9 კვლევა. გამოქვეყნდა სასტიპენდიო კვლევების კრებული, სადაც აღნიშნული პროექტიდან შევიდა 4 კვლევითი ნამუშევარი. აგრეთვე, შეიქმნა 3 სახელოვნებო პროექტი, რომლის მიზანიც იყო მულტიმედიით და ვიზუალიზაციით სოციალური, პოლიტიკური თუ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხების ჩვენება.

EMC-მ პროექტით “ჩაგრულთა ხმები: კვლევა, ხელოვნება და აქტივიზმი სოციალური ცვლილებებისთვის“ დამწყებ მკვლევრებს და ხელოვანებს მისცა შესაძლებლობა ღია კონკურსის გზით მოეპოვებინათ კვლევითი და სახელოვნებო სტიპენდიები, რათა ემუშავათ მათთვის საინტერესო და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

ფორუმი

EMC-ს მიერ ორგანიზებული ფორუმი;ფოტო-ესსეს გამოფენა

ოქტომბერში EMC-მ გამართა შემაჯამებელი ფორუმი, სადაც მკვლევრებს და ხელოვანებს შესაძლებლობა მიეცათ დამსწრე საზოგადოებისთვის გაეცნოთ თავიანთი ნამუშევრები. ფორუმზე, საჯარო დისკუსიის პარალელურად წარმოდგენილი იყო სახელოვნებო ნამუშევარების გამოფენა, სადაც დამსწრეებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ ფოტო-ესსეს, ექსპერიმენტალურ წიგნს და ვიდეო ინსტალაციის ნამუშევრებს.

EMC-ს მიერ ორგანიზებული ფორუმი; კვლევების პრეზენტაცია

ფორუმმა შექმნა სივრცე, სადაც სხვადასხვა სფეროში მოღვაწე და სხვადასხვა ინტერესების მქონე ადამიანებმა, აქტივისტებმა, ხელოვანებმა, მკვლევრებმა, არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ერთად მოიყარეს თავი და ჩაერთვნენ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში, როგორებიცაა: რელიგიის ემანსიპატორული პოტენციალი, საქართველოს სოციალური პოლიტიკის პოზიტიური ალტერნატივები და სხვა.

შეხვედრები დასაქმებულებთან - რეგიონებში

პერიფერიული რეგიონები პოლიტიკური საჯარო სივრციდან მოწყვეტილია, შესაბამისად მნიშვნელოვანია მათი პოლიტიკაში დაბრუნება.

დღეს, სოციალური კავშირები იერარქიზებულია, რესურსები უმეტესად თავმოყრილია ცენტრში, პერიფერიული რეგიონები პოლიტიკური საჯარო სივრციდან მოწყვეტილია, შესაბამისად მნიშვნელოვანია მათი პოლიტიკაში დაბრუნება და ამ ნიშნით ძალაუფლების სტრუქტურის დაბალანსება.

სწორედ ამიტომ, კრიტიკული პოლიტიკის პლატფორმის საქმიანობისთვის რეგიონებში გასვლითი შეხვედრები ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა ტყიბულში, ზესტაფონში, ჭიათურასა და ქუთაისში მძიმე ინდუსტრიაში დასაქმებულებთან. შეხვედრების დროს მოეწყო ფილმების ჩვენება, მცირე მოხსენებების წაკითხვა, და დისკუსია იმ მთავარი წუხილების და სისტემური პრობლემების შესახებ, რომელიც პერიფერიაში და რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. აგრეთვე მსჯელობები იმართებოდა ისეთ თემებზე, როგორებიცაა: სახელმწიფოს როლი და პასუხისმგებლობა, სოციალური პოლიტიკის მნიშვნელობა, უთანასწორობა და რესურსების არათანაბარი გადანაწილება, რელიგიის როლი ადამიანთა ყოველდღიურობაში, გენდერული საკითხები და ქალთა საჭიროებები ინდუსტრიულ რეგიონებში და ა.შ.

კრიტიკული პოლიტიკის პლატფორმის საქმიანობისთვის რეგიონებში გასვლითი შეხვედრები ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

თარგმანები

მწირი რესურსებისა და არსებული ხარვეზული პოლიტიკის გამო საგანმანათლებლო ინსტიტუტები უახლესი პერიოდის მოაზროვნეთა და მეცნიერთა ნაშრომების მხოლოდ მცირე ნაწილის თარგმნას ახერხებენ: სწორედ ამიტომ, დამატებით თუნდაც რამდენიმე ათეული ტექსტის ქართულად თარგმნა მნიშვნელოვანი რესურსია სტუდენტებისთვის და მეცნიერებისთვის.

პლატფორმის ფარგლებში ითარგმნა ტექსტები, რომელთა ძირითად ფოკუსს ფემინისტური კრიტიკული აზრი წარმოადგენს. ტექსტები გამოქვეყნდა და გავრცელდა ინტერნეტ სივრცეში, ასევე შევიდა უმაღლესი სასწავლებლების სილაბუსებში და გარვცელდა სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებში და აქტივისტურ წრეებში.

- აირის მერიონ იანგი "მმართველობის ფორმა და ჯგუფების განსხვავებულობა: საყოველთაო მოქალაქეობის იდეალის კრიტიკა";
- სილვია ფედერიჩი "ანაზღაურება საშინაო შრომისთვის";
- ქრისტინ დელფი "კვლავ კაპიტალიზმის ნაწილი? მარქსისტულ-ფემინისტური პერსპექტივები ოჯახზე";
- შერილ ჯონსონ-ოდიმი "საერთო თემები, განსხვავებული კონტექსტები: მესამე სამყაროს ქალები და ფემინიზმი";
- ქეროლ ჰარინგტონი "Governmentality და ქალთა ტრანსნაციონალური მოძრაობების ძალაუფლება".

ფოტო: სალომე ცოფურაშვილი: ჭიათურა: საერთო ხედი სამოცდაათიოდე წლიანი ინტერვალით.

ბლოგები

კრიტიკული პოლიტიკის პლატფორმის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ახალი ცოდნის წარმოება, სხვადასხვა მნიშვნელოვან თემებზე ახალი არგუმენტების და სააზროვნო პერსპექტივების გაჩენა და მიმდინარე პროცესებზე კრიტიკული რეფლექსია. ამ მიზნით, გარკვეული პერიოდულობით, იქმნება და ქვეყნდება ბლოგები, მიმოხილვები და სტატიები სხვადასხვა თემებზე. მიმდინარე პერიოდის განმავლობაში ძირითად თემებს წარმოადგენდა:
შრომისა და სოციალური პოლიტიკის საკითხები ინდუსტრიულ და პერიფერიულ ზონებში:

- ჭიათურა: კონტროლი და სიძულვილი;
- საქართველოს ინდუსტრიული რუკა და ინდუსტრიული მრეწველობის ეკონომი(კ)ა;
- ჭიათურა: საერთო ხედი სამოცდაათიოდე წლიანი ინტერვალით;
- ანტისოციალური პოლიტიკა საქართველოში; განათლება და შრომის ბაზარი.

ჩაგვრის სხვადასხვა ფორმების, მისი მანიფესტაციებისა და მიზეზების ანალიზი:

- საცხოვრისი და თავისუფლება: საცხოვრისზე უფლებებისათვის მებრძოლი აქტივიზმის ლიმიტები და პერსპექტივები.

ჰეგემონური თუ დომინანტური დისკურსებზე რეფლექსია და სტრუქტურული გადააზრება:

- „უმანკოების წინააღმდეგ";
- რელიგიის დიალექტიკა და კლასობრივი ბრძოლა საქართველოში;
- სოციალური პოლიტიკა საქართველოში: ჩარევა/ჩაურევლობის დებატების მიღმა.

ინტერსექციულობისა და ახალი მემარცხენე იდეების მიმოხილვა:

- წითელი ცისარტყელაში:სექსუალობა, სოციალიზმი და ლგბტ გათავისუფლება.

ჩვენ მოვითხოვთ ცხოვრებას ჭანსაღ გარემოში ხოლო შრომას უსაფრთხო და ღირსეულ პირობებში

რას მოითხოვ შენ?

კამპანია "რას მოითხოვ შენ?"

ჭიათურა სწორედ ის ადგილია, რომელმაც ყველაზე მწარედ იწვნია შრომის, წიაღისეულისა და გარემოს დაცვის მიმართულებით გატარებული ცვლილებები.

2005-2006 წლებში გატარებულმა რადიკალურმა დერეგულირების პოლიტიკამ ანალოგიურად მძიმე პირობები შეუქმნა მძიმე ინდუსტრიის, სერვისისა და არაფორმალურ სექტორში დასაქმებულ მშრომელებს შრომის პირობების სტანდარტების გაუქმებისა და დაცულობის გარანტიების შემცირების ხარჯზე. ამას თან ერთვოდა წიაღისეულისა და გარემოს დაცვის შესახებ კანონებში გატარებული ცვლილებები, რომელიც იგივე ნეოლიბერალურ ლოგიკას ეხმიანებოდა. ამ პროცესებმა განსაკუთრებით დაამძიმა სიტუაცია ინდუსტრიულ ქალაქებში. ჭიათურა სწორედ ის ადგილია, რომელმაც ყველაზე მწარედ იწვნია შრომის, წიაღისეულისა და გარემოს დაცვის მიმართულებით გატარებული ცვლილებები.

კამპანია „რას მოითხოვ შენ?", რომელიც მოიცავს შრომისა და გარემოს საკითხებს, ერთი მხრივ დაეფუძნა პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზს, ხოლო მეორე მხრივ პოლიტიკაში და მაკრო დონეზე მიმდინარე რეფორმები დააკავშირა ინდუსტრიულ ზონებში მცხოვრები და დასაქმებული ადამიანების ყოველდღიურობასთან, მათ მძიმე სოციო-ეკონომიკურ ყოფასთან. ვიდეო-კამპანიის ფარგლებში შეიქმნა და ინტერნეტ სივრცეში გავრცელდა 12 ვიდეო პროდუქტი, სადაც ისეთი ფუნდამენტური საკითხები გაჟღერდა, როგორებიცაა:

- გარემოს დაბინძურება და რესურსების უკონტროლო ათვისება;
- შრომის ურაფრთხოების და ქმედითი შრომის ინსპექციის შექმნის აუცილებლობა;
- კომპანიებისა და კორპორაციების უკონტროლო წარმოება და სხვადასხვა შიდა სქემების არსებობა;
- სახელმწიფოს პასიური როლი მშრომელების დაცვისა და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში;
- ბუნებრივი კატასტროფის წინაშე მყოფი ინდუსტრიული ზონები, სადაც მაღალია დაბინძურების დონე და არ ხდება საწარმოო ნარჩენების სათანადოდ კონტროლი;
- პროფესიული დაავადებების ფატალური შედეგები და არარსებული სახელმწიფო მექანიზმი, რომელიც პრევენციულად მიუდგება აღნიშნულ საკითხს.

კამპანიის პრომო ვიდეო

„რას მოითხოვ შენ?" კამპანია წარმოადგენს მცდელობას მოხდეს შრომისა და გარემოს დაცვის მიმართულებით არსებული საკანონმდებლო ხარვეზების და სისტემური პრობლემების იდენტიფიცირება.

სამუშაო შეხვედრა დასაქმებულებთან "შრომა და წინააღმდეგობა"

დღეს საქართველოში სოციალურმა პროტესტმა და წინააღმდეგობამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა, მაგრამ ჩაგვრის სხვადასხვა გამოვლინებები კვლავ ფრაგმენტულად და ერთმანეთისგან იზოლაციაში განიხილება. 2016 წლის დეკემბერში, EMC-მ ჩაატარა ორდღიანი სამუშაო შეხვედრა დასაქმებულებთან "შრომა და წინააღმდეგობა," რომელიც მიზნად ისახავდა კონკრეტული ექსპლუატაციის შემთხვევების და გლობალური პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების დაკავშირებას; ასევე, ჩაგვრის გამოვლინებების, ურთიერთმიმართებებისა და საერთო სურათის დანახვას. შეხვედრის სამუშაო თემებს წარმოადგენდა: სოციალური უთანასწორობა და პროტესტის აუცილებლობა, ჰეგემონია, ჩაგვრის ფორმები, სახელმწიფოს პოლიტიკა შრომის ბაზრისა და დასაქმების სფეროში.

სამუშაო შეხვედრა დასაქმებულებთან "შრომა და წინააღმდეგობა"

სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ დასაქმებულები და პროფკავშირის წარმომადგენლები ჭიათურიდან, ტყიბულიდან, ზესტაფონიდან და თბილისის რკინიგზისა და მეტროს პროფკავშირებიდან. შეხვედრისას შეიქმნა ისეთი სივრცე, სადაც დაინტერესებულმა პირებმა და დასაქმებულებმა დისკუსიის ფორმატში გაცვალეს იდეები, ხედვები და გამოცდილებები.

ქვიარ ფორუმი

ქვიარ ფორუმი ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო, უსაფრთხო და ნეიტრალური სივრცის შეთავაზებით, ხელი შეეწყო ლგბტი / ქვიარ თემს, სათემო ორგანიზაციებსა და მის მხარდამჭერებს შორის სადისკუსიო ველის გაფართოებისთვის, არსებული სიტუაციის გაანალიზებასა და დისკუსიის წარმოშობისთვის.

ქვიარ ფორუმი

2012 წლის 17 მაისის ანტი-ჰომოფობიური აქცია და კონტრაქცია ლგბტი / ქვიარ აქტივიზმის ხილვადობისთვის გარდამტეხი აღმოჩნდა, ხოლო ერთი წლის თავზე ანალოგიური საჯარო შეკრების გამართვის მცდელობისას ჩადენილი მასობრივი ძალადობის შემდეგ, ლგბტი / ქვიარ უფლებების თემა საჯარო დღის წესრიგში მყარად დამკვიდრდა. თუმცა, აღნიშნული თემატიკის აქტიური პოლიტიზაციის ფონზე, თავად ლგბტი / ქვიარ თემი განვითარების ნელი ტემპით, მცირერიცხოვნობითა და სუსტი კონსოლიდაციით გამოირჩევა, რამაც აქამდე არსებული გამოცდილების კრიტიკულად გაანალიზების საჭიროება წარმოშვა. სწორედ აღნიშნულ და სხვა გამოწვევათა განხილვის მიზნით, 2017 წლის 11 დეკემბერს, EMC-მ, „საქართველოს ახალგაზრდა მწვანეების“, „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ (WISG), „თანასწორობის მოძრაობის“, „თემიდასა“ და „იდენტობის“ თანაორგანიზებით, საქართველოში პირველი ქვიარ ფორუმი გამართა.

ქვიარ ფორუმი ერთ-ერთი პირველი მცდელობა იყო, უსაფრთხო და ნეიტრალური სივრცის შეთავაზებით, ხელი შეეწყო ლგბტი / ქვიარ თემს, სათემო ორგანიზაციებსა და მის მხარდამჭერებს შორის სადისკუსიო ველის გაფართოებისთვის, არსებული სიტუაციის გაანალიზებასა და დისკუსიის წარმოშობისთვის.

ფორუმის პირველ ნაწილში მომხსენებლებმა ისაუბრეს სამართლიანობის და ჩაგვრის ღერძების თანაკვეთის შესახებ, არჩევანის აფექტურ ანალიზზე, ასევე, ჰომონაციონალიზმის მოვლენაზე და სხვა. ფორუმის მეორე ნაწილი ლგბტ / ქვიარ მოძრაობის მოწინააღმდეგეებისა და მოკავშირეების გამოკვეთასა და სტრატეგიულ პრობლემებზე საუბარს დაეთმო. შეხვედრა თემისთვის უმნიშვნელოვანესი გამოწვევების იდენტიფიცირებით შემოიფარგლა, რომელზეც, საერთო შეთანხმებით, მსჯელობა შემდგომ ფორუმებზე და ასევე შედარებით უფრო ვიწრო ფორმატის შეხვედრებზე, „ერთ-საკითხიან“ და სიღრმისეულ დისკუსიებზე გაგრძელდება. გამოვლენილ პრობლემათა შორის, განსაკუთრებით გამოიკვეთა ხილვადობის პოლიტიკა და მისი პრობლემური მხარეები და რისკ-ფაქტორები (მათ შორის - უსაფრთხოება), ისევე როგორც საერთო აქტივისტური სტრატეგიის კონტურების გამოკვეთისა და აქტივისტებს შორის მეტი კოორდინაციის საჭიროების საკითხი.



ილუსტრაცია: თამარ ნადირაძე; EMC-ს პროექტის ფარგლებში შექმნილი წიგნის „უსახელოს“ ერთ-ერთი ფრაგმენტი

სტრატეგიული სამართალწარმოება

საკონსტიტუციო სასამართლო	11
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო	2
საერთო სასამართლოები	40
ადმინისტრაციული ორგანოები	19
სახალხო დამცველი, როგორც თანასწორობის მექანიზმი	10
საგამოძიებო ორგანოები/პროკურატურა	6

პუბლიკაციები

კვლევა	7
პოლიტიკის დოკუმენტი/მიმოხილვა	30
თარგმანების კრებული	4

დისკუსიები/ტრენინგები

საჯარო დისკუსია	15
პრეზენტაცია/ფორუმი	11
ტრენინგი/ვორქშოფი	18

თვალსაზრისები/მულტიმედია

ბლოგი/ სტატია	51
დოკუმენტური ფილმი	4
სოციალური ვიდეორგოლი	6
ინფოგრაფიკა	7
ლექცია/მოხსენება	16

კამპანიები

კამპანია	5

აქციები

საპროტესტო აქცია	2

დონორები და პარტნიორი ორგანიზაციები

კოალიცია:

სოლიდარობის ქსელი ლგბტ უფლებებისთვის საქართველოსა და სომხეთში

კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის

ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმა

“კოალიცია თანასწორობისთვის”

კამპანია “ეს შენ გეხება”

კოალიცია/პლატფორმა “არა ფობიას”

დონორები, პარტნიორი ორგანიზაციები და მიმდინარე პროექტები:

Kingdom of the Netherlands	ნიდერლანდების საელჩო	94,435.00 EUR	ტოლერანტობის, რელიგიის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება საქართველოში
		66,389.40 EUR	პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვა პოლიციის საქმიანობაში
	ევროკავშირი	58,506.00 EUR	სოლიდარობის ქსელი LGBTI ადამიანებისათვის სომხეთსა და საქართველოში
HEINRICH BÖLL STIFTUNG SOUTH CAUCASUS	ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო	32,000.00 GEL	აქცენტი მძიმე ინდუსტრიაზე
EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE	აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტი	79,604.17 USD	შრომის პირობებისა და შრომის უსაფრთხოების მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობა
rfsu	სექსუალური განათლების შვედური ასოციაცია (RFSU)	717,000.00 SEK	სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული მიდგომის გაძლიერება
OPEN SOCIETY FOUNDATIONS	ღია საზოგადოების ფონდები	160,000.00 USD	ინდივიდუალური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა საპოლიციო და სისხლის სამართლის სისტემაში
OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION	ფონდი ღია საზოგადოება საქართველო	15,200.00 USD	პოლიციის გამჭვირვალობა საქართველოში
COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE	ევროპის საბჭო	16,050.00 EUR	პოლიტიკური პარტიების დღის წესრიგებში გენდერის საკითხების შეტანა 2016 წლის არჩევნებში ქალი კანდიდატების გაძლიერების გზით
EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE Promoting Rule of Law in Georgia (PROLoG)	აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამა კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)	92,819.00 USD	მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაძლიერება დისკრიმინირებული რელიგიური თემებისთვის
		6,660.00 USD	სიმართლე მართლმსაჯულების საფარქვეშ

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC

Human Rights Education and Monitoring Center

მისამართი: ი.აბაშიძის 12ა
თბილისი, საქართველო
ტელ: 032 2 23 37 06

humanrightsemc@gmail.com
www.emc.org.ge
www.facebook.com/IHTSEMC